

572  
1965



1965 ՄՕՃԹԾՅՉԾՐՈ

ՀԱՅԿԱՆԻՍՏԱՆԻ  
ՄԱՍԻՆԻՍԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

№ 11

# მამულს გული გაუხარა

გაბრიელ უდაბნო

რა ღამში დღე გატყეს,  
რა შიანი ღარი,  
გახსნილია ქვეყანა,  
შენთვის ყველა კარი.

ნათელი გატყეს ზეცა,  
ვით რუსთველის ბწყარი,  
შენ როდესაც მღერი  
მღერის შთა და ბარი.

ველოებდა ვიღი  
პოეზიის ჭიარი,  
შენს ზედს ელოებდა,  
დასარეკი ბარი.

შენს ფეხს ელოებდა,  
მთვარე შორი, წყნარი.  
შენს მხარს ელოებდა,  
საჭიართველს მხარი.

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,  
ქარსად გაღუნარი,  
თუ გრნდა რომ ქვეყანა  
არა გაუფეხს ცარი.


თუ გრნდა რომ მამულს  
გული გაუხარო,  
აიტაცე წიგნი,  
წიგნი ცოდნის წყარო.

# 7 ნოემბერი

მედიკალი

დღეა მარტინის ვერტი  
და ქურაც კი მღერის,  
აოასდერად ელაგეს  
შვილი ნოემბერი.

სინარულით გვევლოს -  
და დროშების ტვერით  
გაგვიფენდეს ბევრი  
შვილი ნოემბერი.



# ა ბ გ დ ე

1. გეგმა

ზღას ნაპირის ჰელეფური და ბე-  
ჭი სეგან.

ნოემბრის წენარი სედაია, ხანა-  
ბარი მსუამოვია მართლად ხელ-  
სი პერანს, იცეკვებს ნაპირს უხელე-  
ფებს დიდი კრეპსერი, ზუსტად ისეთი,  
როგორც აფრიკაა. კრეპსერი ჰე-  
სერდა, დაიქვას ირეკელე მათხე-  
სიდი და... იქებს, შეგრან რა იქებს!  
კრეპსერს თუხე სელ-  
და დროს ბლიბრით...

— აა, მისა, 48 წლის წინ მსე-  
...

9250

სამატი 4225 678964888

რად დიეტებს აფრიკაბა, დღეს კი ხე-  
დავ რიკორი იხერინ წყნი ხომალ-  
დებში! — უხისა ჰელეფურში ბეჭ.

— თქვენ მამან ხელ იფეთი, სი-  
— ჰეისი ბეჭი.

— მე ხელ ვიქვებოვი, მხოლოდ  
იგი წლავს ვარ, — გაიღიბს ჰელე-  
ურში.

— მე კი 7 წლის ვარ, — მით-  
იხანა ბეჭი, — ეს არის სეჩქე თქვენ  
დიდი ხომალდებით დივერსია, წელ-  
ქვებს ნაუბის იკანის ფეხურზე დის-

ინობით, მე ვი არა, რიფე კეფი-  
დებს, ისეთი ხომალდები აღინ იქვებს.

— რიფეები იქვებს, კომპოსში კე-  
ფრანდებს, — უხისა ჰელეფურში ჰეჭე-  
ჰელეფური სეფიქვი და კანარსი,

— შეპაღებს ისეთი ხომალდები მართლად  
არ იფოს, შეგრან ის ვრთი კრეპსერი

— აფრიკაა ხელ მუდამ იქვებს მან  
მეწიურებს ახალი დროების დივერსია  
მეჭი.

„გეგმა“





# მაიკო-ხოჭო

ხილა აკლავალი

ნახატები ზურაბ მამხარიაშვილისა

დიდი მტეტიჩარა და მოუსვენარი ვინმეა ეს მაიკო. ვერაფერი გაგვიკეთებია ისეთი, რომ არ გაერიოს. ყველგან ცხვირი უნდა ჩაპყოს, ყველაფერში გაეჩხროს.

გააწყალა გული.

აი, ახლაც დაბარებულივით აქ არ გაჩნდა?

ველარ მოვითმინე და უკმეხად მივახალე:

— შენ იცი, რა, წადი და თოჯინებს ეთამაშე, ფეხბურთი რა გოგოს საქმეა?

— რაო, რაო, შენ გგონია, შენზე ნაკლებად ეთამაშობ? — შემომაფრინდა იგი სახეში, ლამის კატასავით თვალები ამომკაწროს.

— შემეჯიბრე, თუ გინდა!

ერთი სიტყვით, იმდენი ქნა, რომ თავისი მინც ვაიტანა. ბოლოს დავიწყეთ თამაში. მე მეკარე ვარ. თითქმის წინასწარ შეთქმულანო, ბურთს არაფერ აწოდებს მაიკოს. მე მათ შევუურებ და ვეციანი, ვკვდები სიცილით.

მაშინ უნდა გენახათ, როგორ გაწიწმატდა მაიკო. გააღმანებელი ჯიქურ მიგჭრა თავის თანაგუნდელს, ბურთი წაართვა და ჩვენსკენ გამოიქცა. გამოიქცა და მერე რო-

გორ! გოჩა წინ გადაუდგა, მაგრამ მაიკომ კობტად აუარა გვერდი და საოცარი სისწრაფით გამოიქანა კარისაკენ.

ამ დროს გივი წამოეწია მაიკოს. არც აცია, არც აცხელა და სარმა გამოსდო. მაიკო მიწაზე გაიშლართა.

მსაჯმა დიდი დავისა და გაწვევ-გამოწვევის შემდეგ, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო მაინც დაგვინიშნა და მაშინ ყველას გასაგონად, ხმაბაღლა ვთქვი:

— ბოლოს და ბოლოს, რა გააქირა საქმე ამ გოგომ!

მან თავისი კუბრივით შავი, დიდრონი თვალები შემომანათა. მაგრამ არაფერი უთქვამს. „სახეზე ისეთი შავია, თითქოს მური აცხაოა. ხოჭოა, ნამდვილი ხოჭო“, — გავიფიქრე მე. ვიამ საჯარიმო დაარტყა. ბურთის თითებით მიეწვდი, მაგრამ ვედარ გავაჩერე და იგი კარში შეგორდა.

თამაშის შემდეგ თავი ჩავლუნე და შინსაკენ გავეჩიე. არც არავინ მომპარებია ახლოს. აღმათ ისეთი სახე მქონდა!

ის იყო ჩვენს ქუჩაში შევეუხვეი, რომ უეცრად, სად იყო და სად არა, წინ მაიკო-ხოჭო არ ამესვეტა?

შეხვედრა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვერაფრას თქმა ვერ მოვახერხე.

— რა საინტერესო თამაში იყო, არა, გურამ? შესანიშნავი მეკარე ყოფილხარ, — სულმოუთქმელად, სეტყვასავით მომპყარა. მაიკო-ხოჭომ.

„როგორ, დაცინვასაც მიბედავს?“ გავიფიქრე, გავბრაზდი და... გავლახე, მაგრად გავლახე. რაც ჯავრი მქონდა, ამოვიყარე.

მერე ზურგი შევაქციე და წასვლა დავაპირე. ქუჩის მოსახვევთან ვილაც კაცი გამორჩნდა ანგარიშმიუცემლად უკან დავიხიე და ღობეს ავეკარი. ვიცანი, მაიკო ხოჭოს მამა იყო...

ვლდა მეცა. მაიკოს მამამ აზლუქუნებულ ი მაიკო რომ დაინახა, მოეფერა. თან აღერსიანი ხმით ეკითხება:

— რა მოგივიდა, მაიკო?



— არაფერი.

— აბა, რა გატირებს?

— დავეციო — იცრუა მაიკომ. გულზე მომეშვა.



ზედ ჩემი სახლის კიშკართან მაიკო შედგა და ალტაცებით წამოიძახა:

— უი, თინიკო, შეხედ, მიმოზა აყვავებულია!

ჩანთა მიწაზე დაგვადე და ხეზე ავტოცი. მიმოზის ტოტები გოგოებს ჩამოუყარე. მაიკო მიმოზას გახარებული დაწვდა და გულში ჩაიკრა.

მე გაოცებით შევეყურებ მაიკოს. ეს ახტაჯანა, ეს ალტაჯი ხოჭო-მაიკოც ჩვეულებრივი გოგონა არ ყოფილა, ისეთი როგორიც სხვები არიან?

— საკმარისია, საკმარისია, მეტს ნუ დამტრეფ! — ამომძახა უეცრად მაიკომ.

„შემირიგდა!“ — გამიფლავა თავში და ერთბაშად შევბა ვიგრძენი.

ასე შევრიგდით მე და მაიკო-ხოჭო. ახლა დიდი მგვობრები ვართ, სულ ჩვენთან არის, სულ ჩვენთან თამაშობს. უწინდებურად მე მაიკო-ხოჭოს ვეძახი, მაგრამ მაიკოს აღარ სწყენს და ჩვენც საწყყნად როდი ვეძახით ასე.

არა მაიკოს სულაც არ უნდოდა ჩემი დაცინვა. იგი თურმე გულწრფელად მელაპარაკებოდა. შეიძლება, თანამიგრძნობდა კიდევ, მე კი... მე ტყუილ-უბრალოდ გავლახე! უნდა მივიღე მაიკოსთან, ბოდიში უნდა მოვუხადო.

სკოლაში შესვენების დროს შორიახლოს ვუტრიალებდი, ახლოს მისვლას ვეღარ ვბედავდი. მაიკო ისე მტრულად მიბრიალებდა თავის ღიღრონ, შავ თვალებს, რომ მე უიმედოდ ჩავიქნიე ხელი და გავეცალდე.


შემოდგომა მიიწურა. გავიდა ზამთარიც. მარტის მზიანი, საოცრად თბილი და კარგი ამინდებია, სკოლიდან ჩინებულ გუნებაზე ვებრუნდები.

უეცრად ჩემს წინ მაიკოსა და მეზობლის გოგონა—თინიკოს მოვკარი თვალი.

მოშორებით, უხმაუროდ ავედევნე მათ.

## წაკვლით კოსმოსში

„ვესიოლეი კარტინკიდან“



# წიგნობა

მედი ჭიჭინაძე

ნახატი ივანე პლინაძისა

ნეტავ დღემდე სად სახლობდა?  
მოფრენილა ახლა სოფლად.  
რისთვის მოხვედ, წიფობებდა?  
— შემოდგომის მახარობდა!

მხოლოდ მაშინ მოფრინებდი,  
როცა დასძევს ვაზი ჭიგოს.  
რთველში მიყვარს გამოჩენა  
საღვინად და საჭიკჭიკად.

მანამდე კი ხაღს ვაფრთხილებ:  
— დროა, დროა, რაღას ეღით,  
გამაზადეთ მაჭრობისთვის  
ქვევრები და საწინახელი!

ახლა სოფლად მწიფობაა  
და მეც დაგჭირ მინდორ-ველად...  
— უჰ, რა კარგი ჩიტუნა ხარ,  
გაიხარე, წიფობებდავ!





ძველ დროში ცხოვრობდა ქართველი ვაჟკაცი, გმირთაგმირი არსენა. იგი იყო სიგურთელის მოყვარული, გლეხკაცის კირ-ვარამის გამზიარებელი, მისი კირისუფალი. მაშინველ ხალხს უამრავი მჩაგვრელი ჰყავდა. გლეხკაცს ავიწროვებდა მემამულე-ბატონი, მეფის მოხელე, ვაჭარი.

არსენა აღსდგა მჩაგვრელების წინააღმდეგ. თავისი ღურჯა ცხენით დაჰქროდა საქართველოში და მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა.

მაგრამ არსენას უღალატა გაიძვერა ფარსადანმა და მტერს ხელში ჩაუდგო.

ნახატი ალექსანდრა ბენძელაძისა



ეს: **არსენ**: გვინნე: მესურს:  
 ძიოს: თუნქი: გუაქრის:  
 ტიქი: მანღა: **არსენა**:  
 კხანე: არსენ: გომონგურს:

**წამოიყვანის: საქაქში:**  
 თუნღინ: ღუარის: გუაქრის:  
 მთრი: საქაქის: ტიქი:

მჭირის: გუნღი: ტისღურს:  
 მკურს: ღოკინი: მიუქას:  
 თრემ: **წარღურს**: ღამგურგურს:  
 შრის: გონ: თუნქი: აქას:  
 მჭირი: რნას: **ღამგურსა**:









— კი, ბატონო, სხვასაც გვითხვით, ამ წესს  
 კელში ჩამდენი ზეწი იწებნაო?  
 — ათათას ზეთასო, — მოუცო ზუქიან.  
 — არა, თარამტო ათასიო! — დასვეჯითფე-  
 ზით უბტოცებდა ზაქია.  
 — არა, ათათას ზეთასო, — გაჯოტდა  
 ზუქია.  
 — თუ არა გჯერა, ა, ბატონო, დითეა-  
 დლო! — უთხრა ზაქიამ და თავისი კელი წინ  
 დავლი.  
 ზუქია დითელას შეუღლა, ახლაც ითვლის,  
 ითვლის, ითვლის, და ვიდრე დაითვლილფს,  
 ზუქის შეყინებოთ.

ზუსთან "ზაქია და ზუქია" კვლევის ა. მონაძერეს

ქმსეყუილამ შეაღებს ჰკითხა  
 — ჩოგონა, ხეჭუბო, ხაჭუბი?  
 — ძაღვან კახადი! — მოხვებ სრუხსებაღებს.  
 — ახლა ვისი უჯრით?  
 — ხეხია! — წამოძინა დითე-ტხეხსეგებამ და დაწყო:



# ზაქია და ზუქია

საბავშვო მხატვრობის

— კი, ორი ზელია: ზაქია და ზუქია. სულ  
 ერთი დღის ატყუებდნენ ერთი სიტყვით, თი არ  
 დასჯდნოდათ მართალი, ამიტომაც ზაქიამ  
 ზუქის მოხდითად ხომც  
 ერთხელ ზაქიამ უთხრა ზუქიას:  
 — შე შენც კეთიანივარ, კვლავდგარი შენ—  
 ზე უდითფელ ვოკო და რასაც ვიტყვო, უნდა  
 დამოჯერდო!  
 — მაინც ისეთს რას იტყვო, — ჰკითხა  
 ზუქიამ.  
 — მოთხარა: ზღვაში ჩამდენი ჰეიშა და  
 ცაში ჩამდენი ვარსკვლავიო!  
 — ზღვაში იმდენი ჰეიშა, ჩამდენიც ცა-  
 ში ვარსკვლავიო! — მაშინვე მიიღო ზუქიან.  
 — ერთი ფულია ჩუქის უფრო ზისიფა, თუ  
 ერთი ფული ხაჭუბი?

— ზუქია არც დაფიქრებულა, სწრაფად  
 უპასუხა.  
 — თბიფე ერთად ირი ფული იქნებაო!  
 ზაქია იღწე დაიწნა.  
 — არა, ზუქის სოფელში ჩამდენი კერ-  
 ცხია, ჩამდენი წიწყლა ვამოიხტყება და სულ  
 ჩამდენი ქათამი იწებნაო?  
 — სამი ათას ზეთასო! — მოუცო ზუქიან.  
 — არა, ზეთი ათასიო! — თქვა ზაქიან.  
 — ზეთი ათასი კვერცხიდან ათასი გულა-  
 დება, ზეთისი წიწყლა დითოცება სოდა, სა-  
 მათას ზეთისი დარჩებაო! — უთხრა ზუქიან.  
 ზაქია შეგვრდა, ადარ იკოდა რა ესახე-  
 ნა, გაწილებულმა სტრუფასათი დააფარა:



— ანგარიში არ გკოდნია, აღბათ, სკო-  
 დში ორიანფს დებულომდო!  
 — ზურას უკატყავდ, ასეთი შენ თუ-  
 თონ პრასნდები ვინდა, სხვა რამე ჰკითხეო, —  
 გავდელიდა ზუქია.

## ნოღარ ლუბაძე



წუხედ ვნახე სიბმარი  
მე ვიყავი ბებია.  
ასე კარგი სიბმარი  
ჯერ არ დამსიბმრებია.

ბებო იყო ქეთინო,  
რას იცინით?—მაცადეთ!  
მე და ბებომ სიბმარში  
ერთმანეთი გავცვადეთ.

გავხდი ბებო თუ არა,  
კარგად დავიკაპიწე  
და ქეთინოს ფაფების  
მოღვლევა დავიწე.


როცა მოფრჩი სამზადისს,  
წინსაფარი გავიძრე  
და ქეთინო-ბებიკო  
ფრთხილად გამოვალვძე:

— აფე, შენი ჭირიმე,  
აფე, ჩემო ბებიკო,  
აფე, სანამ ბაბრიდან  
მოვიღოფეს დეიკო.

სულმთლად მასხრად ამიგღო,  
ჰოდა, ნეტავ გენახათ,  
ვიღრე ტანზე ჩავაცვი  
სამჯერ შემომედახა.

ვაცდაპე და ვაცდაპე  
საძაგელი ფაფები,  
ვაძებნირე ტახტის ქვეშ  
სათფადე და ძაფები.

ველარც ახლა გაიგებს,  
ალარ ემახსოვრება?  
როგორია ყოფედ დღე  
ბებოს ხელში ცხოვრება!





# თუ ს... თუ ს... ს... ს...

ლოლო ვალაჟორია

ნახატები ზარბ ზორაჩხიძისა

ბურთს დაარტყეს — ახტა. ტატოს გ-უჯავრდნენ — მიყუჩდა და დაჯდა, თორემ ბურთი და ტატო სულ ერთად დახტიან.

სკუბ, — ახტა ბურთი. სკუბ, — დახტა ტატო. ახტა ბურთი, ახტა ტატო დახტა ბურთი, დახტა ტატო. რომელია ბურთი, რომელია ტატო, ვინ გაიგებს. ერთიც მრგვალია, მეორეც მრგვალია. ერთსაც წითელი და ლურჯი აცვია, მეორესაც წითელი და ლურჯი აცვია.

ბურთი ტატოსია, ტატო ბურთისაა. უერთმანეთოდ ვერ სძლებენ. თუ ბურთი გაგორდა, ტატო იმწამსვე საწოლის ქვეშ შერგავს თავს; თუ ტატო იძინებს, ბურთი საწოლის ქვეშ შეგორდება და ყურებს ჩამოყრის.

უყვართ ბურთსა და ტატოს ერთმანეთი, — გაუშვიტ, იხტუნონ!

# ვეწვი

პრილ ჯანაშვილი  
პროფესორი

ცხოველებს შორის ყველაზე დიდია ლურჯი ვეშაპი, რომლის სიგრძე მშ მეტრზე მეტია, ხოლო წონა 190 ტონამდე აღწევს.

ვეშაპს ყოველთვის ისე ხატავენ, რომ თავიდან „შადრევანი“ ხჩქეფს.

აღლბათ, ბევრს მგონია, რომ ვეშაპი პირში წყალს იგუბებს და შემდეგ ნესტოებით ზევით ასხამსო. ეს არ არის სწორი.

როგორ წარმოიქმნება ვეშაპის „შადრევანი“?

შაერის შესახუნთქადად ვეშაპი წყლის ზედაპირზე ამოღის. ის ამოსუნთქავს იწყებს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მისი ნესტოები წყლის თხელი ფენითაა დაფარული. ფილტვებიდან დიდი სილიერიით ამოხეთქილი შაერის ნაკადი 15 მეტრის სიმაღლეზე ისვრის იმ წყალს, რომელიც ნესტოებს ზემოდან ფარავდა. ასე წარმოიქმნება „შადრევანი“. ვეშაპი ამოსუნთქავს განაგრძობს წყლის ზედაპირზეც. შემდეგ ჩაუვინთავს და წყლის სიღრმეში დაახლოებით ერთ საათს ჩერდება.

ვეშაპს გიგანტურ წონასთან ერთად, უდიდესი ძალა აქვს. ვეშაპი მოძრაობს მძლავრი წინა ფარფლებით, უკანა კიდურები არა აქვს, მოძრაობაში ეხმარება დიდი კულის ფარფლი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დელოილი ვეშაპი შაერში შემხტარა, გემს დასტეხია და დაუშხხტრეცია.



ნახატე: დიმიტრი ზარაფიშვილისა

ვეშაპი ერთგვარ მოცურავე ცოცხალ „კუნძულს“ წარმოადგენს, რომელზეც ათასობით ნაირგვარი ცხოველი ცხოვრობს; მაგალითად ზღვის იხვები და დიძალი პოლიბები, ზოგიერთი მოლუსკი, თევზი ეშანი და სხვა მრავალი.

ვეშაპებს მტრებიც ჰყავთ. ოკეანეებში პატარა ვეშაპები, ცელნამგალები ცხოვრობენ, რომელთა სიგრძე 7-9 მეტრამდე აღწევს. ეს ონაგები ოკეანეში გუნდგუნდად დაცურავენ, დანახავენ თუ არა ვეშაპს, მაშინვე გამოედევნებიან. ვეშაპი ცდილობს თავდამხმელებს თავი აარილოს, მაგრამ ამაოდ. ცელნამგალები ზოგი ზურგიდან, ზოგი ქვეშოდან და გვერდებიდან იმღენს კბენენ და ეძალებიან, რომ ბოლოს გააფორებულ ვეშაპი პირს აღებს. მტაცებლებსაც ეს უნდათ; თვალს დახამხამებაში პირიდან აგლეჯენ და ხანსლავენ ენას, რომელიც ორ ტონაზე მეტს იწონის.

ლურჯი ვეშაპი უმეტესად არტტიკულსა და ანტარტიკულ წყლებში ცხოვრობს, თუმცა ბევრი მათგანი ზომიერსა და ტროპიკულ ზღვებშიც დაცურავს.



# ჩემი ლექსი

მარი ჟოხიძე

რა ვუყოთ, რომ ჯერ არა ვარ  
მურიკედას ხედაც?!  
გავიზრდები, კარგი სწავლით  
გავახარებ ყველას.



ნახატები ივანი ქლიბაძისა

# ჭიჭი

ლევო ხაროძე



ქურდბეცაცა ბაჭია,  
გრძელუწრავ და ზრანჭიავ,  
რატომ არ გეუწრება,  
ხტიხარ, როგორც კალია,  
ჩემს ბოსტანში ცანცალავ,  
შენი ძრუდე კვალბა.  
განა შენთვის დავთესეთ,  
თავზე შენთვის დავხარით?  
შევისრაძუნებია  
სტაფილო და ჭარხალი.



# თხუნელა

ამ თხუნელამ  
თხარა მიწა,  
თხარა, თხარა,  
დაიღალა.  
იქვე მიწვა შეტოხარა,  
მიგვიბერტეუს,  
გალასუს.  
აჭიჭეინდა:  
— რას შერწოდნენ,  
ვაშენებდი სასახლეს!..





## ნახაზი-ხუმრობები



პატარა ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. უმცროსთა გუნდი უფროსებთან თამაშს აგებდა.

გზოს გუნდები პირველად გამოდიოდნენ საგანგებოდ გამოფენილ მაყურებელთა წინაშე და ბიჭებს ესეც ავულოანებდა.

სულ ბოლო წუთზე უმცროსთა კარში კიდევ ერთი, უკანასკნელი ბურთი აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს მსაჯის სასტენის ხმა გაისმა. თამაში დამთავრდა. დამარცხებული გუნდის თითოეული მოთამაშე იქვე მწვანეზე გულადმა თუ პირდაღმა დაედგა. ასე გულგონებდათ, მოედანი ნაპირზე ახალამოყრილი და წაღმაუკუღმა მიმოზნეული ფართხალა თევზებით მოიფინაო.

მათმა მწვრთნელმა, ძველმა ფეხბურთელმა და დარბაისელმა კაცმა, თითქოს, თევზების ასაკრფელად გამოვიდაო, სათითაოდ ჩამოუარა ძირს დაყრილ დამძარებულ ბიჭებს და დაყვავებით ზეზე წამოაყენა.

მწვრთნელი და მთელი მისი გუნდი გზოს ერთ კუთხეში მიიყუვნენ.

მწვრთნელმა იმედიანად თქვა:

— წაგება, რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ რაკი მარცხი ასე განიცადეთ, მომავალში ეს უკეთესი თამაშის საწინდარია.

დამარცხებული ფეხბურთელების მწვრთნელს გამარჯვებულის იერი უფრო ჰქონდა, ვიდრე დამარცხებულისა. ბიჭებსაც იმედო მოეცათ და სახეზე კეთილი დარი დაეფინათ.



ალექსანდრე პუშკინი

ოთხი წლის ვიქნობდი, როცა შველი და შულოს ნუკრი პირველად ენახე. ის ნუკრი სამულამოდ მემასსოვრება.

ნახატი მიორბი რკინიხვილის ვენებდა, სული თვალწინ მედგა, ძილშიც კი მესიზმრებოდა. ამის გამო დედას ვაცივდებოდი და ტირის ვტამდი, ნუკრის სანახავად

# ნუკრი ნუკრი




ყოველ დღე ბაღში წავეყვანე. დედისაგან ვაწბილებული ხშირად გავიპარებოდი, ბაღის ღობეს მივადგებოდი, რკინის მოაჯირის ტუჭრტუტანებში საათობით ვიჭვრიტებოდი და პალმებისა და მაგნოლიების ხეივანში დედასთან ერთად მოსეირნე იმ ნუკრს თუ დავინახავდი, სიხარულით ცასა ვწვდებოდი. გული ჩიტსავით მიფართხალებდა. ხშირად ნუკრი დედას ჩამორჩებოდა და ხეივანში შეჩერდებოდა. იგი თავისი ლამაზი, უცოდველი და ნამიანი თვალებით გაცოცხლებული შემომხედავდა, თითქო რაღაც დარდი აწუხებეს და ტირილს აპირებდნო, მაშინ მეც გული ამიჩუყდებოდა, მოვიწყენდი და ორნივე ნორჩი, უცოდველნი ერთმანეთს ჯაღოშეყრილივით მივაშტერდებოდი. მერმე ნუკრი გონს მოვიდოდა, ისკუპებდა და კუნტრუშით დედას დაედევნებოდა. ამ ნუკრს ახლაც ისე თვალნათლივ ვხედავ, — მხატვარი რომ ვიყო, დავხატავდი.

ეს იყო ძველ დროში. მაშინ ჩვენ ქუთაისში, გუბერნატორის სასახლის მახლობლად პაპაჩემის სახლში ვცხოვრობდით. გუბერნატორს შესანიშნავი ბაღი ჰქონდა. დეკორატიული ბაღის ხეივანებში ერთი ტანკენარი შველი დახეტიალობდა. შველს მუდამ კულში დასდევდა ნუკრი. ნუკრი ისეთი ლამაზი და საყვარელი იყო, რომ არ მას-

9750

# საბავშვო ჟურნალი

## ნათქვამი



ერთ ცოდ-ქმარს ჰქონდა ჯადოსნური ოქროს ბეჭედი, რომელსაც მისი პატრონისათვის სიმდიდრე, ბედნიერება და სიკეთე მოჰქონდა. ბეჭდის მფლობელებმა ეს არ იცოდნენ და ბეჭედი ძაღვ იაფად გაჰყიდეს.

მას შემდეგ, რაც ბეჭედი ოჯახიდან გავიდა, ცოდ-ქმარს ცუდად წაუვიდათ საქმე და გაღარიბდნენ, აღარ იცოდნენ, როგორ ეცხოვრათ და რით ვრჩინათ თავი.

ოჯახის ერთგულმა ცხოველებმა ძაღვმა და კატამ გადაწყვიტეს, ეშველიათ თავიანთი პატრონისათვის. მაგრამ რა უნდა გაეკეთებინათ?

ბევრი ოქროს შემდეგ ძაღლს კარგი აზრი მოუვიდა:

— ბეჭედი უნდა დავიბრუნოთ! — უთხრა მან კატას.

— ბეჭედი ძაღვს შორს, ცხრა მთას იქით ცხრაკლიტულშია დამალული და ჩვენ ვერ შევძლებთ მის დაბრუნებას, — უპასუხა კატამ.

— დაიჭირე თავი, — უთხრა ძაღვმა, — მას აღვიდად შეუძლია ცხრაკლიტულში შემოღობა და ბეჭდის მოპარვა.



ეს რჩევა ჰკუთხა დაუფადა კატას და მართლაც დაიჭირა თავი. კატა, თავი და ძაღლი გზას გაუდგნენ. ერთ მდინარეს მიადგნენ, ძაღვმა კატა და თავი ზურგზე შეისვა და მდინარე გაეტყურა. კატა და თავი ცხრაკლიტულისაკენ გაემშურნენ. ძაღლი კი მდინარესთან დავლდა.

თავი შეშრია ცხრაკლიტულში, მოყვანა ბეჭედი და გამოიტანა. კატამ ჩაიღო ბეჭედი და გაიქცა მდინარისაკენ, სადაც მას ძაღლი ელოდა. გადასცურეს მდინარე და პატრონისაკენ მოკურსებულენ.

კატა ძაღვს სწრაფად მიჰქროდა. როცა სახლი, ან ლოვე შეხვდებოდათ, კატა პირდაპირ შეცოცდებოდა და ისე გადადიოდა, ძაღლი კი იძულებული იყო შემოეფლად.



კატა ძაღვზე ადრე მივიდა შინ და პატრონს ბედნიერების ბეჭედი მისცა.

გახანებულმა ქმარმა ცოლს უთხრა:

— კატა ჰკვიანი ცხოველია, ჩვენ მას ყოველთვის უნდა მივცეთ საჭმელი და საკუთარი შვილივით უნდა მოვუაროთო.

როგესაც ძაღვმა სახლამდე მიაღწია, იგი გაღაბეს. ბეჭდის მოტანაში კატას რატომ არ დაეხმარეო.

კატა ოთახის თბილ კუთხეში იჯდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

პატრონისაგან გაწვილებული ძაღლი ძაღვ გაბრუნდა, გული მოუვიდა კატაზე და მისი მტრობა ჩაიღო გულში. ამის შემდეგ ძაღლი, სადაც კატას დაინახავს, გამოეკვივება, ცილილს დაიჭირებს, რათა სამაგიერო გადაუხადოს.

გერმანულიდან თარგმნა ლუიზა მეტრეველმა

ნახატები ზურაბ უორსინძისა





1. მანანა ბარაშიძე 7 წ.
2. ლელა ხუნდაძე 7 წ.
3. ქეთევან ცანავა 7 წ.
4. ბაკურ კიკნაველიძე 6 წ.

თბილისის სახენი მასალების კომბინატის № 41 საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ნახატები.



რედაქტორი ჯანსუღ ჩარაქვიანი, ხარდიაკოვი კოლხია: ბ. გიგეშკორი, კ. გოგივაშვილი, ჯ. ლომუა, გუპ. მამბ-ლინიშვილი, უ. ნინუა, შ. ცხაღაძე (ხაშაბერა რედაქტორი), ნ. წულიხიანი (რედაქტორის მოადგილე), რ. შიშვილი საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის შორეული პერიოდი ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი

ყდის მხატვრობა იკუთვნის კაპა მელიქიშვილს მკერტი ელპარდ კაგუაშილა ბატონიძეობა ბ. კონიანიშვილი

გამოცემის ოცდამეორეამდე წელი. რედაქციის მშენებელი მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

გამოცემის "ნაბეჭდილი", გვ. 8-12, № 900, სტამბის № 2020, ტიპოგრაფია № 2020, ხელმოწერილი დასაბეჭდად 18/IX/1963 წ.

კაპა მელიქიშვილი პოლიგრაფიული კომბინატის რედაქტორი, თბილისი ქ. № 14 „ლიტა“-ის რედაქციაში, თბილისი, ირანის ქ. № 9.

აქტიური მასალები: თბილისი, მუხომბის ქაზა, № 91, ტელ. 2-37.38, 2-1540.

682/294

საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი  
საზღვაო სანაოსნო  
სამსახური



76055